ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო87.8722192001**
თარიღი:**11/07/2022**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**მორიგი სხდომის**

**ოქმი № 8**

ქ. ახმეტა 6 ივლისი, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ბართიშვილი, გ. ქიბროწაშვილი,

თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, ზ. ფიცხელაური,

გ.შაშიაშვილი, კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური,

ე.ბაღაკაშვილი, ბ.კაიშვილი, ლ. ვაჩეიშვილი,

გ. ონიაშვილი, გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი,

დ.ავაზაშვილი, თ.მოზაიძე, გ.უძილაური,

ფ.შიომღვდლიშვილი, შ. ტერტერაშვილი,

გ. შორთიშვილი, ე. ფეტვიაშვილი, ე. მარკოზაშვილი,

კ. მაზიაშვილი, კ. მუხაური, ს. ბაბულაიძე,

ლ. მუთოშვილი.

სხდომა გაიხსნა 12 $^{00}$ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი**

1. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი -გელა შაშიაშვილი/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი -გელა შაშიაშვილი/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

4. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

5. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი -დავით აბულაძე/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ალავერდში მდებარე 691 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ალავერდში მდებარე 300 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საკობიანოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 30.23კვ.მ სამუშაო ფართის ა(ა)იპ „ეთნოგრაფიული და ეთნიკური ჯგუფების განვითარებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ახმეტაში, ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე 21.50კვ.მ სამუშაო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ა(ა)იპ „ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ახმეტის რაიონული ორგანიზაციისთვის“ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

10. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქისტაურში მდებარე 199 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

11. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორია) 20130კვ.მ მიწის ნაკვეთის, ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;

**/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/**

**საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.**

**სხდომას ესწრება - 26 საკრებულოს წევრი**

**მომხრე - 26**

**დღის წესრიგი დამტკიცდა.**

მომხსენებელმა გელა შაშიაშვილმა წარმოადგინა პირველი და მეორე საკითხი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი -გელა შაშიაშვილი/

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეიცვალა საკრებულოს და საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის წესი. კერძოდ, ამგვარი ფუნქცია აღარ შედის საკრებულოს კომპეტენციაში და ეს უფლებამოსილება იწყება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი შემაჯამებელი ოქმის ცესკოს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან. იგივე წესით მოხდება შუალედურ არჩევნებში არჩეული საკრებულოს მაჟორიტარი წევრისა და პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების დაწყება.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი -გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო ცვლილება:

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეიცვალა საკრებულოს და საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის წესი. კერძოდ, ამგვარი ფუნქცია აღარ შედის საკრებულოს კომპეტენციაში და ეს უფლებამოსილება იწყება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი შემაჯამებელი ოქმის ცესკოს ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან. იგივე წესით მოხდება შუალედურ არჩევნებში არჩეული საკრებულოს მაჟორიტარი წევრისა და პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების დაწყება.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხების ცვლილების მიღებას.**

**სხდომას ესწრება 26 საკრებულოს წევრი.**

**მომხრე - 21**

**მონაწილეობა არ მიიღო - 5 შ.ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ.მუთოშვილი, ე. ფეტვიაშვილი.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № :46 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № :47 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

**სხდომაზე შემოვიდა ლ. ვაჩეიშვილი.**

მომხსენებელმა თინათინ შათირიშვილმა წარმოადგინა მესამე და მეოთხე საკითხი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა განმარტა:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის იურიდიული სამსახურის სტრუქტურაში ცვლილება.

მერიის დებულების სტრუქტურული ერთეულის დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანა. ცვლილება განხორციელდა მერიის დებულების მე-12 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

,, ბ) იურიდიული სამსახური, რომელსაც აქვს ორი განყოფილება:

ბ.ა) ზედამხედველობის და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილება;

ბ.ბ) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.“

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა თინათინ შათირიშვილმა წარმოადგინა პროექტის ცვლილება.

1. მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის--სამსახურის უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულების--განყოფილებების უფროსების და სხვადასხვა რანგის საჯარო მოხელეებისაგან;

2. სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ზედამხედველობის და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილება;

ბ) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.“.

2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები**

სამსახური უზრუნველყოფს:

ა) მერის, მერიის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებისათვის კონსულტაციების გაწევას;

გ) მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებისა და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ სისწორეს, მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;

დ) მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვას სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში და სასამართლოში;

ე) მოქალაქეთა განცხადებების/ საჩივრების განხილვას, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას, შესაბამისი დასკვნების და გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებას;

ვ) მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ცალკეული საკითხების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას;

ზ) მერიის სამსახურებისა და ადმინისტრაციული ერთულების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მომზადებას;

თ) მერიის საჯარო მოხელეების თანამდებობაზე დანიშვნის, გადაყვანის, მობილობის, მოხელეთა უფლებამოსილებების შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;

ი) მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადებას;

კ) მერიის მიერ შექმნილი იურიდიული პირების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცესის ორგანიზაციულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას;

ლ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოსახლეობის სამართლებრივ კონსულტირებას;

მ) ადმინისტრაციული წარმოების დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვას;

ნ) მშენებარე შენობა-ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო კონსტრუქციების საპროექტო და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე მშენებლობის დაწყებიდან დამთავრებამდე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე კონტროლს;

ო) მონიტორინგს მუნიციპალიტეტის იერსახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების დაცვაზე, გარე ვაჭრობაზე, მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე.

პ) ტექნიკური და სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების, კანონის დარღვევით მიმდინარე ფაქტების გამოვლენას, დარღვევით მშენებარე ობიექტის მშენებლობის შეჩერებას ან/და დემონტაჟს, მათ მიმართ კანონით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

ჟ) სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე კონტროლს;

რ) გარე რეკლამის განთავსებაზე კონტროლს;

ს) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესების დაცვაზე კონტროლს (შენობა-ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, კომუნიკაციათა კარადების და ჭების, საქალაქო მეურნეობის სხვა ელემენტების ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე);

ტ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების დადგენილი წესების დაცვაზე კონტროლს;

უ) უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, მანქანა-დანადგარების, დახლების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენას, მათი აღმკვეთი საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

ფ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავების ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობის, მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობის ფაქტების გამოვლენას და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ღონისძიებების გატარებას;

ქ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის ნორმების დამრღვევი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას;

ღ) პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის და ნარჩენების მართვის კოდექსის დამრღვევის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას, ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვას და ადმინისტრაციული სახდელის დადებას;

ყ) ახლად აშენებული, რეკონსტრუირებული ობიექტების დამთავრებული სამუშაოების მიმღებ კომისიებში მონაწილეობის მიღებას.

შ) საქართველოს კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.“.

3. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 4. ზედამხედველობის და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების ფუნქციები:**

განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) მშენებარე შენობა-ნაგებობების, წარმოებული სამშენებლო კონსტრუქციების საპროექტო და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის მონიტორინგს მშენებლობის დაწყებიდან დამთავრებამდე, დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის შესაბამისობაზე კონტროლს;

ბ) მონიტორინგს მუნიციპალიტეტის იერსახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების დაცვაზე, გარე ვაჭრობაზე, მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე.

გ) ტექნიკური და სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების, კანონის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის ფაქტების გამოვლენას, დარღვევით მშენებარე ობიექტის მშენებლობის შეჩერებას ან/ და დემონტაჟს, მათ მიმართ კანონით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

დ) სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე კონტროლს;

ე) გარე რეკლამის განთავსებაზე კონტროლს;

ვ) კონტროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესების დაცვაზე (შენობა-ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, კომუნიკაციათა კარადების და ჭების, საქალაქო მეურნეობის სხვა ელემენტების ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე);

ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების დადგენილი წესების დაცვაზე კონტროლს;

თ) უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, მანქანა-დანადგარების, დახლების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენას, მათი აღმკვეთი საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავების ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობის, მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობის ფაქტების გამოვლენას და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ღონისძიებების გატარებას;

კ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და ,,სამშენებლო საქმიანობის კოდექსის ნორმების დამრღვევი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას;

ლ) პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის და ნარჩენების მართვის კოდექსის დამრღვევის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებას, ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში - აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვას და ადმინისტრაციული სახდელის დადებას;

მ) ახლად აშენებული, რეკონსტრუირებული ობიექტების, დამთავრებული სამუშაოების მიმღებ კომისიებში მონაწილეობის მიღებას;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელებას.“.

**4. დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №1-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 მუხლი:**

**„მუხლი 5. სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ფუნქციები:**

განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) მერის, მერიის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისათვის კონსულტაციების გაწევას;

გ) მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებისა და სხვა დოკუმენტების

საქართველოს კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობას;

დ) მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვას სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში და სასამართლოში;

ე) მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების განხილვას, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებას, შესაბამისი დასკვნების და გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებას;

ვ) მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ცალკეული საკითხების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას;

ზ) მერიის სამსახურებისა და ადმინისტრაციული ერთულების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მომზადებას;

თ) მერიის საჯარო მოხელეების თანამდებობაზე დანიშვნის, გადაყვანის, მობილობის, მათთვის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;

ი) მერიის საჯარო მოსამსახურეების (შრომითი ხელშეკრულებთ დასაქმებული პირების) სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების პროექტების მომზადებას;

კ) მერიის მიერ შექმნილი იურიდიული პირების რეორგანიზაციის/ლიკვიდაციისა პროცესის ორგანიზაციულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას;

ლ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში მოსახლეობისთვის სამართლებრივი კონსულტაციების გაწევასა და განმარტებების მიცემას;

მ) ადმინისტრაციული წარმოების დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვას;

ნ) საქართველოს კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 15 აგვისტოდან.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხების ცვლილების მიღებას.**

**სხდომას ესწრება 27 წევრი.**

**მომხრე - 17**

**მონაწილეობა არ მიიღო - 10 შ.ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, კ.მაზიაშვილი, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, თ.მოზაიძე, გ.უძილაური, კ. მუხაური, ს. ბაბულაიძე, გ. შორთიშვილი.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 48 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 49 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

**სხდომაზე შემოვიდა ფ. შიომღვდლიშვილი.**

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი -დავით აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო ცვლილება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის საჯარო დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე, სტრატეგიული მიზნების შესასრულებლად, შესაბამისი სფეროების გაძლიერება.

გენერალური აუდიტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N016239/21 ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაწყებულ იქნა თვითმმართველ ერთეულებში შესაბამისობის აუდიტი, რის თაობაზეც ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს ეცნობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2022 წლის 11 მაისის N003239/26 წერილით. აუდიტის ჯგუფის მიერ მოთხოვნილია ინფორმაცია არა მხოლოდ 2021-22 წლებში მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით, არამედ, დაგეგმილი საქმეების ნუსხა, შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის თითოეული სამსახური ვალდებულია სხვადასხვა კატეგორიის დავალიანების ამოღების მიზნით იურიდიულ სამსახურს გადასცეს საქმის მასალები, რათა ამ უკანასკნელმა დაიწყოს სასარჩელო წარმოება. ზემოაღნიშნული პროცესის სწორად და ეფექტურად განხორციელებისთვის მიზანშეწონილად მივიჩნევთ ახმეტის მუნიციპალიტეტის იურიდიული სამსახურის სტრუქტურაში შეიქმნას შესაბამისი ერთეული, რომელიც სრულად იქნება პასუხისმგებელი აღნიშნული პროცესის სისტემატიზაციაზე, წარმოებაზე, შედეგზე.

დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია ინფრასტრუქურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილებაში ორი ერთეული მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო პოზიციის გარდაქმნა მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე, აგრეთვე ერთი ერთეული მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციის გარდაქმნა მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 28 წევრი.**

**მომხრე - 20**

**მონაწილეობა არ მიიღო - 8 შ.ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, კ.მაზიაშვილი, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, თ.მოზაიძე, კ. მუხაური, გ. შორთიშვილი.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 50 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ალავერდში მდებარე 691 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი:

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ალავერდში მდებარე 691კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საკადასტრო კოდი - 50.12.35.032).

2. დამტკიცდეს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული მიწის ნაკვეთის:

ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური - 4700 (ოთხიათას შვიდასი) ლარის ოდენობით;

ბ) „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30%-ით - 1400 (ერთიათას ოთხასი) ლარის ოდენობით;

გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით - 470 ლარის ოდენობით;

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 28 წევრი.**

**მომხრე - 17**

**მონაწილეობა არ მიიღო - 11 შ.ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, კ.მაზიაშვილი, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, თ.მოზაიძე, გ.უძილაური, კ. მუხაური, ს. ბაბულაიძე, გ. შორთიშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № :16 ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ალავერდში მდებარე 691 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;**

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ალავერდში მდებარე 300 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი:

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ალავერდში მდებარე 300კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი - 50.12.35.033).

2. დამტკიცდეს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული მიწის ნაკვეთის:

   ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური - 1800 (ერთიათას რვაასი) ლარის ოდენობით;

   ბ) „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30%-ით - 540 (ხუთას ორმოცი) ლარის ოდენობით;

   გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით - 180 ლარის ოდენობით;

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 28 წევრი.**

**მომხრე - 17**

**მონაწილეობა არ მიიღო - 11 შ.ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, კ.მაზიაშვილი, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, თ.მოზაიძე, გ.უძილაური, კ. მუხაური, ს. ბაბულაიძე, გ. შორთიშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 17 ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ალავერდში მდებარე 300 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;**

მომხსენებელმა უკეთ შესწავლის მიზნით უკან გაითხოვა მე-8 საკითხი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ახმეტაში, ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე 21.50კვ.მ სამუშაო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ა(ა)იპ „ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ახმეტის რაიონული ორგანიზაციისთვის“ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას - განახორციელოს **ქ. ახმეტაში, ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში მდებარე შენობის** (საკადასტრო კოდი - 50.04.47.069) **მესამე სართულზე არსებული 21.50კვ.მ სამუშაო ფართის ა(ა)იპა „საქართველოს პედაგოგთა**

**და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ახმეტის რაიონული ორგანიზაციისთვის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 211372593) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემა.**

2. დამტკიცდეს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების:

   ა) სარგებლობის უფლებით გადაცემის წლიური ქირის საფასური - 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით;

   ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 3 წელი.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 28წევრი.**

**მომხრე - 28**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 18 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ახმეტაში, ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე 21.50კვ.მ სამუშაო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ა(ა)იპ „ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ახმეტის რაიონული ორგანიზაციისთვის“ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;**

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქისტაურში მდებარე 199 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი:

1. დამტკიცდეს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ ქისტაურში მდებარე 199კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საკადასტრო კოდი - 50.10.36.053).

2. დამტკიცდეს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული მიწის ნაკვეთის:

   ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური - 4500 (ოთხიათას ხუთასი) ლარის ოდენობით;

   ბ) „ბე“-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30%-ით - 1350 (ერთიათას სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

   გ) ელექტრონული აუქციონის ბიჯის ოდენობა - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით - 450 ლარის ოდენობით;

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 28 წევრი.**

**მომხრე - 17**

**მონაწილეობა არ მიიღო - 11 შ.ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, კ.მაზიაშვილი, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, თ.მოზაიძე, გ.უძილაური, კ. მუხაური, ს. ბაბულაიძე, გ. შორთიშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 19 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქისტაურში მდებარე 199 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;**

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორია) 20130კვ.მ მიწის ნაკვეთის, ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას ქირის

საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი:

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) 20130კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.09.36.416) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის წლიური ქირის საწყისი საფასური:

   **ა)** საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -1175.00 (ერთიათას ასსამოცდახუთმეტი) ლარის ოდენობით;

ა.ა) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.**

**სხდომას ესწრება 28 წევრი.**

**მომხრე - 17**

**წინააღმდეგი - 1 ს. ბაბულაიძე.**

**მონაწილეობა არ მიიღო - 10 შ.ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, კ.მაზიაშვილი, ლ.მუთოშვილი, ე.ფეტვიაშვილი, თ.მოზაიძე, გ.უძილაური, კ. მუხაური, გ. შორთიშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი.**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 20 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორია) 20130კვ.მ მიწის ნაკვეთის, ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვისას ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;**

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:50საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი